ხელშეკრულება № 8

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ახალქალაქი *25 იანვარი* 2021 *წელი*

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი **მერის იურიკ უნანიანის სახით** და **შპს ,,ჯი-თი მოტორსი“** (შემდგომში-მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, (ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“), ვხელმძღვანელობთ, რა **საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N 26 განკარგულების საფუძველზე** და საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გამოყენების შედეგად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *გამოყენებული ტერმინების განმარტებები*

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი.

1.7 „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. *ხელშეკრულების საგანი*

2.1. ხელშეკრულების საგანია **2021 წლის 22 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**, **2018 წლის 30.10 N 105 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული 2 ერთეული ავტომობილის** (SUZUKI VITARA **მწარმოებელი ქვეყანა: უნგრეთი.) საგარანტიო მომსახურების ფარგლებში თანმდევი გეგმიური ფასიანი მომსახურება და დამატებითი სერვისები** **დანართი #2** (CPV50112000). ამ ხელშკრულების **დანართი 1-ის შესაბამისად;**

2.2. თანმდევი საგარანტიო მომსახურების ფასების ცხრილი ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. *ხელშეკრულების ღირებულება*

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **7000** (*შვიდი ათასი) ლარს.*

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, ავტომობილის თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურებების ღირებულებას *100000 კმ.* გარბენზე და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარანტიით გათვალისწინებული ფასიანი მომსახურებების დამატებითი ღირებულების გადასახადს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა გადასახადს.

3.3 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შემოთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის ფიქსირებული ეროვნული ბანკის კურსით უცხოურ ვალუტაში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში - საქონლის ფაქტიური მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

4. *მხარეთა ვალდებულებები*

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი ცხრილით განსაზღვრული კილომეტრაჟის მიხედვით.

ბ) საგარანტიო, გეგმიური ფასიანი მომსახურების მოწოდება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მითითებულ სერვის ცენტრ(ებ)ში.

გ) მიმწოდებელმა თანმდევი გეგმიური მომსახურების ჩატარება უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დაფიქსირებიდან და ავტომობილის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე უზრუნველყოს გაწეულ მომსახურებაში მიმწოდებლის ბრალეულობით განვითარებული/აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. *ინსპექტირება*

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან: ავტომანქანების მძღოლმა/თანმხლებმა პირმა.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით მიწოდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა წუნდებულ მომსახურებაზე

6. *საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. საქონლის/მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილია ავტომობილის მძღოლი/თანმდევი პირი; შესაბამისად შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ ინვოისის/მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველამდე მიტანის ვალდებულება შემსყიდველის წარმომადგენელს ეკისრება.

7. *ანგარიშსწორება*

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: ***ადგილობრივი ბიუჯეტი.***

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7.3 თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების მიხედვით, ყოველჯერზე გაწეული მომსახურების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. *ხელშეკრულების შესრულების შეფერხება*

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე- 10 მუხლის შესაბამისად.

9. *ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. *ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. *დავების გადაწყვეტა*

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. *ხელშეკრულების შეწყვეტა*

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. *ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2022** *წლის* 31 *იანვრის ჩათვლით.*

14. *ფორს-მაჟორი*

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. *სხვა პირობები*

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, მიმწოდებელს თითო ეგზემპლარი და შემსყიდველს გადაეცემა ორი ეგზემპლარი.

16. *მხარეთა რეკვიზიტები:*

შემსყიდველი:

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია ქ.
ახალქალაქი, ჩარენცის ქ. 11
საიდენტიფიკაციო კოდი: № 223366122 საბანკო
რეკვიზიტები: ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო სამსახური, სახაზინო კოდი 300629921,
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

akhalkalaki municipality Digitally signed by akhalkalaki municipality
Date: 2021.01.25 16:33:19 +04'00'

მერი იურიკ უნანიან

მიმწოდებელი:

შპს ,,ჯი-თი მოტორსი"
დ. აღმაშენებლის ხეივნის #155 კმ.
ს/კ - 206276340
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE89BG0000000247624300

გენ. დირექტორი თემურ უსტიაშვილი

JI-TI MOTORS LLC Digitally signed by JI-TI MOTORS LLC
Date: 2021.01.26 17:41:52 +04'00'

	Vitara 1,6	სათადარიგო ნაწილები ლარი	შესასრულებელი სამუშაო ლარი
	სამუხრუჭე დისკის მოხეხვა 1 ცალი		45
	საბურავის დაშლა/აწყობა, ბალანსირება		15
	გაბარიტის ნათურა	4.00	7.5
	სანისლე ფარის ნათურა	45.00	25
	ახლოს მაშუქი ნათურა	45.00	7.5
	შორს მაშუქი ნათურა	48.00	7.5
	უკანა სვლის ნათურა	18.00	15
	უკანა სტოპის ნათურა	5.00	7.5
	ციმციმას ნათურა	5.00	7.5
	სტაბილიზატორის რეზინი (1 ცალი)	32.00	30
	გადაბმულობის დისკი	470.00	450
	გადაბმულობის ქურო	338.00	
	გადაბმულობის დამწოლი საკისარი	480.00	
	გადაბულობის მილის გადამყვანი	155.00	37.5
	სამუხრუჭე სითხე (0,5 ლიტრი)	16.00	37.5
	ანტიფრიზი (1 ლიტრი)	25.00	37.5
	ფრეონი (100 გრ)	78.00	75
	ელ-დიაგნოსტიკა		75
	სავალი ნაწილის შემოწმება		37.5
	საქარე მინის ყინვაგამძლე სითხე	25.00	0
	აკუმულატორი	270.00	15
	სამუხრუჭე დისკი	290.00	60
	საქარე მინის საწმენდის რეზინი (დიდი)	45.00	7.5
	საქარე მინის საწმენდის რეზინი (დიდი)	20.00	7.5
	უკანა ბალკის რეზინი	172.00	300
	უკანა მინის საწმენდის რეზინი	36.00	7.5
	წინა ამორტიზატორი	911.00	75
	წინა ამორტიზატორის ბალიში	224.00	75
	უკანა ამორტიზატორი	476.00	30
	სტერჟინი	172.00	30
	წინა მორგვის საკისარი	343.00	90
	უკანა მორგვი	1205.00	52.5
	წინა ყუმბარა	1860.00	75
	უკანა ყუმბარა	1670.00	45
	უკანა ყუმბარის მტვერდამცავი	70.00	37.5
	გადაცემათა კოლოფის მოხსნა/დაყენება		300
	გადაცემათა კოლოფის დაშლა/აწყობა		150
	კოლოფის ზეთი (1 ლიტრი)	55.00	37.5
	ხიდის ზეთი (1 ლიტრი)	45.00	30
	ძრავის ზეთი Castrol 5w30 (1 ლიტრი)	25.00	20
	ზეთის ფილტრი	35.00	
	ჰაერის ფილტრი	60.00	10
	წინა ხუნდები	485.00	28
	უკანა ხუნდები	338.00	32
	სალონის ფილტრი	53.00	15
	აალების სანთელი	45.00	37.5

შენიშვნა 1:	ხუნდების, საყრდენი დისკების, ჰაერის ფილტრის და სალონის ფილტრის შეცვლის სიხშირე დამოკიდებულია მძღოლსა და გარემო პირობებზე
შენიშვნა 2:	ძრავის ზეთი იცვლება ყოველ 10000 კმ-ზე ან 12 თვეში ერთხელ. (რომელიც უფრო ადრე დადგება)

დანართი N1

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება შპს „ჯაფარიძე მოტორს"----------

N	შესყიდვის ობიექტი	მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებლის დასახელება	მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რაოდენობა (ცალი)	1 ერთეული ავტომანქანის ღირებულება (ლარი)	ერთი ავტომანქანის საგარანტიო ფასიანი მომსახურების პირობითი ღირებულება 100000 კმ-ზე (ლარი)	საწვავის ხარჯი საპასპორტო მონაცემებით 1 ავტომობილის (100000 კმ-ზე)	2 ერთეული სულ ჯამური ფლობის ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	მე-3 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა	ძრავი -1,6; 120ცხძ; 5სა ფეხურიანი მექანიკა; მო ითხოვნილ პარამეტრების შესაბამისი (იხ. დაწერი ლებით ტექსახასიათებლ ების დანართში)	უნგრეთი	სუზუკი	ვიტარა	2	39 500.29	5 041.71	5 600.00	100 284.00

ავტომობილის სავარაუდო ჯამური ფლობის ღირებულება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) ავტომობილის ღირებულებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა სახის გადასახადის ჩათვლით, მათ შორის იმპორტირების ხარჯს, განბაჟებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის (შემსყიდველზე გადაფორმების და სანომრე ნიშნის) ხარჯების ჩათვლით;

ბ) თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიურ ფასიან მომსახურებას - რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N2-ში და გაანგარიშებულია 100 000 კილომეტრ გარბენზე;

გ) საწვავის ხარჯი საპასპორტო მონაცემებით (100000 კმ-ზე)

შენიშვნა:

1. ფასების ცხრილის (დანართი N1) წარმოუდგენლობა, ან მასში შემოთავაზებული საქონლის მწარმოებელი ქვეყნის, მწარმოებლის და მოდელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიუთითებლობა, ასევე, განუფასებლად წარმოდგენილი ფასების ცხრილი, დაზუსტებას არ ექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;
2. ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ ავტომანქანის ღირებულების მიხედვით.

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------- შპს „ჯაფარიძე მოტორს"

ბ.ა. /ხელმომწერის სახელი, გვარი/

ზაი. უსტიაშვილი?

დირექტორი